ოქმი:**ო03.37221821**

თარიღი:**01/07/2022**

ოქმი № 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2022 წელი, 30 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ.მელუა, გ.მდინარაძე, ბ.თოიძე, ნ.ღაჟონია, ტ.აროშიძე, მ.ვაშალომიძე, გ.შარაშენიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. 2022 წლის მაისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი პ. ჭყონია

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, კომისიის წევრებს გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა, ხოლო საკითხთან დაკავშირებით ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ. მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს. პ.ჭყონიამ განმარტა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მაისის მდგომარეობით, ბიუჯეტის შემოსულებებმა 2021 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 12055,44 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 23%-ია. კონკრეტულად, მაისის თვეში შემოსულია 2 700 608,1 ლარი. მათ შორის: ქონების გადასახადი 62853,03 ლარი, დღგ-ს გადასახადი 1 730 245,48 ლარი. 2022 წლის მაისის მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 727 899,73 ათ. ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი-131 709,6 ლარი, კაპიტალური ტრანსფერი 596 191,13 ლარი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი: 2022 წლის მაისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი